ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები

ანა მესხიშვილი

# მოდისა და კინოს ურთიერთგავლენა 1950-60 წლების საფრანგეთში

კინომცოდნეობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თეო ხატიაშვილი

თბილისი, 2019

# განაცხადი

*წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.*

სახელი გვარი

წელი

## სარჩევი

აბსტრაქტი .....1

შესავალი.....2

ლიტერატურის
მიმოხილვა.....3

მეთოდოლოგია.....5

I თავი: იმიჯის, სტილის, მოდის და კოსტიუმების მნიშვნელობა კინოში.....6

II თავი: ომის შემდგომი საფრანგეთი…….18

50-იანი წლები.....18

60-იანი წლები.....24

III თავი: ფილმები და მათში გამოყენებული კოსტიუმები……..….35

„და ღმერთმა შექმნა ქალი“.....35

„შარშან მარიენბადში“.....38

„დღის ლამაზმანი“.....40

„მამრობითი, მდედრობითი“.....44

„შერბურის ქოლგები“.....47

დასკვნა.....49

ბიბლიოგრაფია.....51

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის მოდის ინდუსტრიის მიერ კინოში შექმნილ იმიჯებს, რითიც საზოგადოების შთაგონებას და ტრანსფორმაციას დაედო საფუძველი. ერთი მხრივ, აღნიშნული კვლევა გვიჩვენებს მოდის ეფექტს კინოსამყაროზე, მეორე მხრივ კი კინოს გავლენას 50-60-იან წლების საფრანგეთის მოდაზე.

ჩემი კვლევის მიზანია იმიჯთა ერთგვარი რევოლუცია ეკრანზე 50-60-იანი წლების ფრანგულ კინოში. რა გავლენა ჰქონდათ იმ დროს ცნობილ ფრანგ დიზაინერებს „ახალი ტალღის“ რეჟისორებზე და შემდეგ როგორ აისახებოდა ეს თანამშრომლობა საზოგადოებაზე ზემოქმედებით ქალაქის ქუჩებში.

ნაშრომი გამოსადეგი და ღირებული იქნება ყველა იმ ადამიანისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კინოსა და მოდის ინდუსტრიით და მათი ერთმანეთთან კავშირით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მოდა, კინო, ფრანგული ახალი ტალღა, საფრანგეთი.